



შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებელი“

2018 წლის სამოქმედო გეგმა

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ 2018 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

№	შინაარსი	შესრულებაზე პასუხისმგებელი	სავარაუდო პერიოდი
1.	დადგენილ სტანდარტებთან და მოდულური პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო ბაზის უზრუნველყოფა ინვენტარით, ტექნიკითა და სასწავლო მასალებით.	დირექტორი, მატერ. რესურსების მენეჯერი	წლის განმავლობაში
2.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება, შედეგების ანალიზი. რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	თებერვალი- ივნისი
3.	პროგრამული თემატიკის გათვალისწინებით სასწავლებლის ბიბლიოთეკის ფონდის პერიოდული შევსება; სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიების მომზადება;	პროფ. პროგრამების მენეჯერი; ბიბლიოთეკარი	წლის განმავლობაში

4.	დაწესებულების გარე და შიგა ტრენინგებში პროგრამის განმახორციელებელი პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა. მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალისათვის მეთოდური კონსულტირება და რეკომენდაციების მიცემა.	პროფ. პროგრამების მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში
5.	პროფესიული მასწავლებლებისათვის ტრენინგებისა და ურთიერთდასწრების ორგანიზება, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ღია მეცადინეობების ჩატარება.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	წლის განმავლობაში
6.	აღმზრდელის მოდულური პროგრამის დამატება. ურთიერთანამშრომლობის დამყარება შესაბამის დამსაქმებლებთან და კვალიფიციური პროგრამის შესაბამისი ადამიანური რესურსის მოზიდვა.	პროფ. პროგრამების მენეჯერი;	თებერვალი მარტი
7.	სასწავლებელში ცენტრალიზებული გათბობის სისტემის მოწყობა	მატერ. რესურსების მენეჯერი	ივლისი- აგვისტო
8.	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თვითშეფასების წლიური ანგარიშის წარდგენა, მოდულური პროგრამების დამატება.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	მაისი, ივნისი
9.	სტუდენტთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით კონფერენციის ჩატარება;	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	მაისი
10.	თანამშრომლობის გაღრმავება მეწარმეებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, დამსაქმებლებთან და დასაქმების სააგენტოსთან. აღმზრდელის პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორული ურთიერთობის დამყარება ბათუმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებთან.	პროფ. პროგრამების მენეჯერი;	წლის განმავლობაში

11.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის ბაზებზე საწარმოო პრაქტიკების ხარისხიანად ჩატარების ორგანიზება.	პროფ. პროგრამების მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	წლის განმავლობაში
12	სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა; კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა, ანალიზი.	პროფ. პროგრამების მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	წლის განმავლობაში
13	სტუდენტური თვითმმართველობის განვითარებაზე ხელშეწყობა, სტუდენტების კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულობა.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	წლის განმავლობაში
14	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის შედეგების ანალიზი და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ივლისი
15	2018-19 სასწავლო წლისათვის პროფესიულ პროგრამებზე აპლიკანტთა მიმღები კომისიის დამტკიცება, კატაკოგის მომზადება, რეესტრისა და ჩარიცხვის პროცედურების წარმოება კანონმდებლობის შესაბამისად.	დირექტორი; პროფ. პროგრამების მენეჯერი;	აპრილი- სექტემბერი
16	პროფორიენტაციის მიზნით რეკლამების დამზადება, სამუშაო ჯგუფის შექმნა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გასვლის ორგანიზება; ღია კარის დღის ჩატარება.	პროფ. პროგრამების მენეჯერი;	აპრილი-მაისი
17	სასწავლებლის ვებ-გვერდის სრული ინფორმაციითა და აქტივობებით მუდმივი განახლება-სრულყოფა;	ინფორმ. ტექნოლ. სამსახური	წლის განმავლობაში
18	სასწავლებელში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, უსაფრთხოებისა და დაცვის ღონისძიებების უზრუნველყოფა და მონიტორინგი.	პროფ. პროგრამების მენეჯერი; მედდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	სისტემატიურად
19	კოლეჯის ფინანსური დაგეგმარების დახვეწა, პროფესიულ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ზრდა.	დირექტორი; ფინანსური სამსახური	სექტემბერიდან

20.	სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება, შედეგების ანალიზი და ახალი სამოქმედო გეგმების შემუშავება.	დირექტორი; პროფ. პროგრამების მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	დეკემბერი, იანვარი
21.	საქართველოს კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.	პროფ. პროგრამების მენეჯერი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	წლის განმავლობაში